თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №30

ქ. თბილისი 2018 წელი, 9 ოქტომბერი, 17:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, დავით უთმელიძე, გოჩა თევდორაძე, დავით უჯმაჯურიძე, ბექა დავითულიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი გაბაშვილი, თევდორე ისაკაძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ვახტანგ შაქარიშვილი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

დავით ასანიძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი
მერაბ ბოლქვაძე - ა.ა.ი.პ. ,,სითი ინსტიტუტი საქართველოს" წარმომადგენელი

დღის წესრიგი:

დედაქალაქის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის პროექტის შემდგომი განხილვის პროცედურებთან დაკავშირებით

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ ოფიციალურად დედაქალაქის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის პროექტი თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა გადმოაგზავნა თბილისის საკრებულოში ა/წლის 5 ივლისს,

მას შემდეგ, საკითხის ირგვლივ მოეწყო უამრავი საჯარო განხილვა, მოქალაქეების მომართვიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იქნა შენიშვნები მათ დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე საჭირო გახდა პროექტის ხელახალი დამუშავება, რომ სამართლებრივ ჩარჩოებში იქნას მოქცეული ის შენიშვნა/წინადადებები, რაც საჭიროა სრულყოფილი დოკუმენტის ჩამოყალიბების პროცესისათვის.

კომისიის წევრის გიორგი ტყემალაძის თქმით, მთავარი ცვლილებები განხორციელდა კერძო მესაკუთრეების თხოვნიდან და დასაბუთებიდან გამომდინარე. იმედს ვიტოვებთ, ქალაქგეგმარების და მესაკუთრეთა ინტერესების შეჯერება მოხდება საბოლოო პროექტით.

ა.ა.ი.პ. ,,სითი ინსტიტუტი საქართველოს" წარმომადგენელმა მერაბ ბოლქვაძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აქტიური ჩართულობისა და მუშაობისათვის და ამასთან აღნიშნა, რომ მოქალაქეების ინტერესები მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა დავით ასანიძემ აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქალაქეთა განცხადებების სიმრავლეა გენ. გემგის პროექტთან დაკავშირებით, რაზედაც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, რომ აღმოიფხვრას ის შენიშვები, რამაც შეიძლება მოქალაქეთა ინტერესების შელახვა გამოიწვიოს. ამასთან რუკასთან შესაბამისობაში მოდის ტექსტური ნაწილიც, სადაც ასევე განხორციელდება რიგი ცვლილებები.

შესაბამისად, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიმართოს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა.ა.ი.პ. ,,სითი ინსტიტუტი საქართველოსთან" შეთანხებით წარმოადგინოს განახლებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის პროექტი.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე  რევაზ სოხაძე